# უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

## გადაწყვეტილება № 22

20 19 წ. „ 26 “ 06

ქ. თბილისი

**შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 26 დეკემბრის №26 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. ცვლილება განხორციელდეს შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საჭოს 2017 წლის 26 დეკემბრის №26 გადაწყვეტილებაში. კერძოდ, პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი 206155328) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური/დონე | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით | კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის | კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | ადგილების ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაცია (CPL – H)<br><br>Aircraft flight exploitation (CPL – H)<br>(1) | მეხუთე დონე/ მეხუთე საფეხური | ასოცირებული ხარისხი საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლოატაციაში (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან) 1041<br><br>მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციაში (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი) 041664 | 59 | 59 | ინგლისური | 25 | ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის ქ. №16 |
| 2 | საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B 1.1 & B 2)<br><br>Aircraft maintenance (B 1.1 & B 2)<br><br>(1) | მეხუთე დონე/ მეხუთე საფეხური | ასოცირებული ხარისხი საჰაერო ხომალდების ტექნიკურ მომსახურებაში (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან) 0716<br><br>მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საჰაერო ხომალდების ტექნიკურ მომსახურებაში | B 1.1<br>127,5<br><br>B 2<br>121.5 | B 1.1<br>127,5<br><br>B 2<br>121,5 | ინგლისური | 90 | ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის ქ. №16 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | წლის 29<br>თებერვალი)<br>041665 | | | | | |

*(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;*

*(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).*

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 26 ივნისის №9 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
მარიამ დარბაიძე

მდივანი
ქეთევან ცხადაძე